

იუნ ფოსე

მკვდარი ძაღლები

Jon Fosse

Dei Døde Hundane

ახალი ნორვეგიული ენიდან (ნინოშვი) თარგმნა მანანა მათიაშვილმა

[მთარგმნელის აღნიშვნები: დახრილი ხაზით (/) აღნიშნულია პარალელური ვარიანტები, რომელთაგან, საბოლოოდ, ერთი დარჩება.

~~ასე გადასახული სიტყვების წაშლა აზრის მთლიანობას არ დაარღვევს, რადგან მხოლოდ სტილისტურად აფორმებს ტექსტს]~~

მოქმედი პირები:

დედა

ახალგაზრდა კაცი

ახალგაზრდა კაცის მეგობარი [ლაიფი]

სიძე

და [ანა]

მოქმედება I

სცენა I

შუადღე.

საერთო ოთახი ერთი დიდი ფანჯრითა და ორი კარით.

ახალგაზრდა კაცი ძელსკამზე წევს სახით კედლისკენ,

შემოდის დედა და მიდის ფანჯარასთან

დედა

არადა, ნახე, დღეს რა კარგი ამინდი გამოვიდა

(დედა ახალგაზრდა კაცისკენ იყურება)

შეგეძლო წასულიყავი სასეირნოდ

თან ძაღლსაც მოძებნიდი

ნამდვილად სჯობდა ახლა

აქ წოლასა და იმის ლოდინს

თვითონ როდის მოიფიქრებს

შინ დაბრუნებას

(ახალგაზრდა კაცი ისევ ისე წევს)

თუმცა მალე მოვა

აი ნახავ

ნუ იდარდებ

(ხანმოკლე პაუზა)

ძაღლებმა ასე იციან

დროდადრო გარბიან ხოლმე

არ ღირს ამაზე ნერვიულობა

(ახალგაზრდა კაცი კვლავ გაუნძრევლად წევს)

მაგრამ თუ შენ ეს ამბავი მაინც სარისკო გეჩვენება

მაშინ

უნდა წახვიდე და მოძებნო

(ხანმოკლე პაუზა)

ზრდასრული კაცი ხარ

თუმცა შენი შემხედვარე ამას ვერ იტყვი

ჰოდა

ადექი ახლა და წადი ძაღლის მოსაძებნად

რადგან ეს ასეთი მნიშვნელოვანია შენთვის

(პაუზა. ახალგაზრდა კაცი ბრუნდება და დედას უყურებს)

აუცილებლად დაბრუნდება

აი ნახავ

არ არის საგანგაშო

ალბათ შორს წავიდა

ახალგაზრდა კაცი

ადგა და გაიქცა

მის საქციელს არ ჰგავს

დედა

(აწყვეტინებს)

ჰოდა წადი და მოძებნე

წადი

თუ ეს ასეთი მნიშვნელოვანი გგონია

(ხანმოკლე პაუზა)

აქ ასე გაუნძრევლად წოლით

არაფერი გამოვა

(ხანმოკლე პაუზა)

საყიდლებზეც წასასვლელები ვართ

ყავა გათავებულა

ბარემ მაღაზიაშიც ხომ არ შეივლიდი

(ხანმოკლე პაუზა)

მერე კი ძალს მოძებნიდი

და ორ საქმეს ერთად გააკეთებდი

(ახალგაზრდა კაცი წამოჯდება ძელსკამზე და თავს უქნევს)

მიდი ახლა რაღას უზიხარ

ახალგაზრდა კაცი

ასე უკანმოუხედავად არასდროს გაქცეულა

ჰაერზე გავიყვანე

როგორც ყოველთვის

და უცებ გაქრა

ვეძახდი

მაგრამ არ დაბრუნდა

უფრო და უფრო უმატა სირბილს

ადრე ასე არასდროს მოქცეულა

ღედა

ტყუილად ნუ ნერვიულობ

ძაღლები ხშირად იქცევიან ასე

ხანდახან გარბიან ხოლმე

(ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ჰო მაგრამ

ღედა

არა საკმარისია

სანერვიულო არაფერი გაქვს

და თუ მაინც დარდობ

მაშინ ადექი და წადი

უბრალოდ წადი და მოძებნე

(ხანმოკლე პაუზა)

ყოველ შემთხვევაში

აქ ასე წამოწოლილი

საქმეს ვერ უშველი

(ხანმოკლე პაუზა)

აი ნახავ

შენი ძაღლი

აუცილებლად დაბრუნდება

ახალგაზრდა კაცი

კარგი

დედა

ჰოდა

ახლა

წადი მაღაზიაში და

თან ძაღლიც მოძებნე

ისინი რომ მოვლენ ყავა დაგვჭირდება

მიდი ახლა

შენი და ყოყმანობდა

დარჩენილიყვნენ თუ არა

ჩვენთან ღამის გასათევად

კიდევ კარგი პროდუქტების დიდი ნაწილი გვაქვს

(ხანმოკლე პაუზა)

ახლა ის უკვე იშვიათად მოდის ჩვენთან
რამე განსაკუთრებული მოვამზადოთ სადილად

(ხანმოკლე პაუზა)

ალბათ მაინც დარჩებიან ღამის გასათევად
თუმცა მითხრა რომ ვერ ახერხებდა

იქნებ დარჩნენ

ზუსტად არ იცოდა რას იზამდნენ
ნებისმიერ შემთხვევაში ყავა დაგვჭირდება

ყიდვა კი დამავიწყდა

ჰა წადი ახლა

(ხანმოკლე პაუზა)

რა კარგია რომ ვნახავ
ბოლოს როდის ვნახე აღარც კი მახსოვს

ახალგაზრდა კაცი

მისი ქმარიც ხომ იქნება არა

დედა

ჰო ჰო ისიც

(ხანმოკლე პაუზა)

ბოლო-ბოლო წახვალ მაღაზიაში

თუ ტახტზე წოლის ტრადიციას ვერ უღალატებ

(პაუზა)

არა რა

მე თვითონ წავალ

შენ

(დედა სიტყვას წყვეტს, როცა კარზე აკაკუნებენ)

ალბათ ისინი არ იქნებიან

გვიან აპირებდნენ

ვითომ შეიძლება

ახლავე

დედა გადის. ახალგაზრდა კაცი წამოდგება, მიდის ფანჯარასთან და იხედება.

დედა შემოდის ოთახში და მას მოჰყვება ახალგაზრდა კაცის მეგობარი.

(მეგობარს)

იშვიათი სანახავი გახდი

არც ისე ხშირად მოდიხარ ჩვენთან

დიდიხანია არ ყოფილხარ

ასეა

კი

თუმცა შენ ხომ ქალაქში გადახვედი

და ამიტომ

ალბათ

მეგობარი

დიახ

ქალაქში ვცხოვრობ

დედა

ახლა კი სახლში ჩამოხვედი

(ხანმოკლე პაუზა)

აღრე

ჰო აღრე ჩვენთან უფრო ხშირად მოდიოდი

უფრო ხშირად

როცა პატარა იყავი

რა კარგია რომ ახლა აქ ხარ

მეგობარი

(დაბნეულად)

ვიფიქრე თუ

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

ჰო შესანიშნავია

(ხანმოკლე პაუზა)

ყავა უნდა შემომეთავაზებინა

მაგრამ აღარ ყოფილა

როცა დააკაკუნე

კართან ვიდექი და ყავის საყიდლად

მაღაზიაში ვაპირებდი წასვლას

მეგობარი

რა თქმა უნდა

ყავა საყიდელია

დედა

და როცა დავბრუნდები

მაშინ

დიახ

(ძალიან მოკლე პაუზა)

ყავას აუცილებლად მოგიმზადებ

მეგობარი

(უყურებს ახალგაზრდა კაცს)

ვიფიქრე რომ

დედ

(აწყვეტინებს)

უცბად

თითქოს ძველი დრო დაბრუნდა

ჯერ შენ მოხვედი

საღამოს ანაც უნდა გვესტუმროს

ანა ხომ გახსოვს არა

(მეგობარი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად)

ჰო ცოტა ხნით მოდის

აქეთ მოხვდა მანქანით და ჩვენც შემოგვივლის

მეგობარი

სასიამოვნო იქნება თუ ვნახავ

ეს ხომ

დედა

(აწყვეტინებს)

ჰო

აუცილებლად უნდა შეხვდე

(ხანმოკლე პაუზა)

მე კი ახლა

მაღაზიაში წავალ

ასე ჯობია

თქვენ კი

ჩემს მოსვლამდე

მშვიდად

ისაუბრეთ

(დედა გადის. ახალგაზრდა კაცი და მეგობარი ერთმანეთს უყურებენ)

მეგობარი

გადავწყვიტე შემომევლო

და მენახე როგორ ხარ

ჰო

ცოტა ხნით ჩამოვედი სახლში

(ხანმოკლე პაუზა)

ცოტა ხნით

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

(ხანმოკლე პაუზა)

გამოდის

ქალაქში გადახვედი არა

მეგობარი

ჰო

ასე გამოვიდა

იძულებული გავხდი

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

(პაუზა)

მეგობარი

ფულს ბლომად ვშოულობ

ერთი საერთო ოთახი მაქვს თავისი ყველაფრით

საქმე კარგად მიმდის

(ხანმოკლე პაუზა)

შენსკენ არაფერი შეცვლილა როგორც ვატყობ

ახალგაზრდა კაცი

ჰო ბევრი არაფერია ახალი

სათქმელად რომ ღირდეს

(მეგობარი მიდის ფანჯარასთან, გარეთ იხედება, მერე ისევ ტრიალდება ახალგაზრდა კაცისკენ)

რა კარგი სახლი აუშენებია

ამ შენს ახალ მეზობელს

ახალგაზრდა კაცი

ჰო კარგია

მეგობარი

იცნობ

ახალგაზრდა კაცი

არა

მეგობარი

ცოტას ლაპარაკობს

საკმაოდ მორიდებულია

მაგრამ კარგი ბიჭი ჩანს

(ოდნავ აღტკინებული)

ეხეც

ბენდში უკრავდა თურმე

გიტარაზე

იცოდი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

გამიგია

მეგობარი

რამდენიმე წელი ყოფილა ამ ბენდში

როგორც ჩანს ძალიან მაგარი იყო

მაგრამ მგონი აღარ უკრავს

(პაუზა)

და ის ქალი სიგნე

ჰო სიგნე

ქვემოთ ზღვის პირას ცხოვრობს

ისევ იმ სახლში

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

ისევ ის ძველი სიგნა

ახალგაზრდა კაცი

ჰო სულ მარტოა სახლში

იშვიათად გამოდის ხოლმე გარეთ

მეგობარი

წლებია ასე ცხოვრობს

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

მისი სახლი ზედ წყლის პირას დგას

მგონი არც არასდროს მინახავს სხვა სახლი

ასე ახლოს ზღვის პირას

მოქცევის დროს შეიძლება

სახლის სამირკველსაც კი ასცდეს წყალი

ახალგაზრდა კაცი

რავიცი

არა მგონია

(ხანმოკლე პაუზა)

მეგობარი

ახლა ის მითხარი შენსკენ რა ხდება

ხომ კარგად ხარ

ახალგაზრდა კაცი

რა თქმა უნდა

გმადლობ

(პაუზა)

მეგობარი

რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი

ახალგაზრდა კაცი

დარწმუნებული ვარ რამდენიმე წელი ნამდვილად იქნება

(ხანმოკლე პაუზა)

მეგობარი

მითხარი

მოსაწყენი არ არის აქ ერთ ადგილზე ყოფნა

გამუდმებით

იმას ვგულისხმობ

სულ სახლში რომ ხარ

(ხანმოკლე პაუზა)

სინამდვილეში

არც ქალაქშია დიდი ჟრიამული

(ხანმოკლე პაუზა)

მაგრამ

(ხანმოკლე პაუზა)

მაინც

ასე მგონია

იქ ალბათ ოდნავ უკეთესია ცხოვრება

ვიდრე აქ ერთ ადგილას ტრიალი

(ხანმოკლე პაუზა)

იქნებ

რამე სამსახური გიშოვო ქალაქში

(ხანმოკლე პაუზა)

თუკი მოისურვებ

რალა თქმა უნდა

(ოდნავ გახალისებული)

აი ერთი ვარიანტი უკვე მაქვს

მომისმინე

ხომ იცი

ხანდახან ჭირდებათ ხოლმე ხალხი სადაც მე ვმუშაობ

და შეიძლება

ჰო შემიძლია

ერთი საერთო ოთახის მიღებაში

შენც დაგეხმარო

სადაც მე ვცხოვრობ იმ შენობაში ბევრია ასეთი ოთახი

და ერთი რომელიმე ყოველთვის არის თავისუფალი

(ხანმოკლე პაუზა)

ასე რომ

თუ მოისურვებ

(ჩვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

(ყოყმანობს)

არა

არ ვიცი ჯერ

(პაუზა)

მეგობარი

კარგი

თუმცა ახლა

შენთან საქადაგებლად

ნამდვილად არ მოვსულვარ

(ხანმოკლე სიცილი)

ანუ კარგად ხარ

ახალგაზრდა კაცი

(მხრებს იჩეჩავს)

არც ისე ცუდად

მეგობარი

ეს ხომ მშვენიერია

(ჩაიციინებს)

არც ისე ცუდად

ნიშნავს საკმაოდ კარგად

განა ასე არ არის

(პაუზა)

ახლა მომხედე

იცი რა

ფიორდზე ხომ არ წავსულიყავით

ძველ დროს გავიხსენებდით

ძველი ნავი მაქვს

ხომ გახსოვს ის ნავი

(ახალგაზრდა კაცი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს)

რასაკვირველია გემახსოვრება

(ხანმოკლე პაუზა)

ის ხომ მამაჩემის ნავი იყო

და მას რამდენი ხანი ჰყავდა

(ხანმოკლე პაუზა)

ეს უკვე აღარ ვიცი

(ახალგაზრდა კაცის მიმართ)

ხომ გახსოვს ნავი

ახალგაზრდა კაცი

ჰო რა თქმა უნდა

მეგობარი

მშვენიერი ძველი ნავია

(ხანმოკლე პაუზა)

სულ ზუმფართო ვხეხე და ვაპრიალე

მოკლედ კარგად მივხედე

საღებავი მოვაშორე და ზეთით გავპოხე

აი ნახავ რა ლამაზი გახდა

(ხანმოკლე პაუზა)

სათევზაოდაც კი შეიძლება წასვლა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

სიამოვნებით

შესაძლებელია

ვნახოთ

მეგობარი

ხვალვე ხომ არ წავსულიყავით

თუ კარგი ამინდი იქნება

(უყურებს ახალგაზრდა კაცს, რომელიც არ პასუხობს)

მოდი წავიდეთ

შემიძლია დილით შემოვიარო

და მოვიფიქროთ

ახალგაზრდა კაცი

ჰო

კარგი იქნებოდა

მეგობარი

ამინდი თუ უცებ არ გადაირია

კი

ახალგაზრდა კაცი

დღეს მაგალითად

სულაც არ არის ცუდი ამინდი

მეგობარი

ჰო მაგრამ წამდაუწუმ იცვლება

(ხანმოკლე პაუზა)

კარგი მოკლედ

მივდივართ

ახალგაზრდა კაცი

ჰო ვნახოთ

(პაუზა)

მეგობარი

უბრალოდ

მოსაკითხად შემოვიარე

როგორც ადრე

სულ ესაა

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

მეგობარი

აქაურობის ნახვა მინდოდა

სხვა არაფერი

(პაუზა)

ჰო მართლა

მაღლს რა უყავი

(ხანმოკლე პაუზა)

სულ აქ ტრიალებდა ხოლმე

აქეთ-იქით დახტოდა

ახალგაზრდა კაცი

გარეთ არის სუფთა ჰაერზე

მეგობარი

როგორც ჩანს

არ ერიდები მის მართო გარეთ გაშვებას

ახალგაზრდა კაცი

(ყოყმანით)

ჰო არა

მეგობარი

არასდროს გაქცეულა

ახალგაზრდა კაცი

შინ ყოველთვის ბრუნდება ხოლმე

მეგობარი

იმედი მაქვს ახლაც ასე იქნება

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

ეტყობა უყვარს ნავარდი და თავის ნებაზე ყოფნა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

მეგობარი

ასე გამოდის

(პაუზა)

ისე ცოტა მაინც არ ღელავ

ვაითუ არ დაბრუნდეს

ახალგაზრდა კაცი

(ყოყმანით)

არა

მეგობარი

ადრე

სულ საყელურით დაგყავდა

სადაც არ უნდა წასულიყავი

(ხანმოკლე პაუზა)

როცა კი შენზე გავიფიქრებ

ყოველთვის საყელურიან ძაღლთან ერთად გხედავ

შენ და ძაღლი

ყოველთვის ერთად ხართ ჩემს წარმოდგენაში

(ხანმოკლე პაუზა)

და როცა აქ ვცხოვრობდი

მრავალი წლის წინ

მეზობლები და ბავშვობის მეგობრები

როცა ვიყავით

განა ხშირად მივდიოდით ერთმანეთთან

სულაც არა

ძალისხმევა დავაკელით

(ახალგაზრდა კაცს შეხედავს)

მაგრამ როცა კი მოვდიოდი

დიახ

ძაღლი სულ აქ ტრიალებდა ხოლმე

განუწყვეტლივ ყეფდა

კუდს აქიციებდა

წამით არ გვაძლევდა მოსვენებას

ახალგაზრდა კაცი

კი ასე იყო

მეგობარი

ამიტომ უნდა გითხრა რომ ვერ ვისვენებ

ახლა აქ რომ ვერ ვხედავ

დიახ

სწორედ ასეა

ეს უნდა მეთქვა

(პაუზა)

აშკარად რაღაც ხდება

(ხანმოკლე პაუზა)

რაღაც თითქოს ისე ვერ არის როგორც უნდა იყოს

(პაუზა)

ეს ძალი

ახლა რომელიც გყავს

უკვე დიდი ხანია შენთან არის

არა

ახალგაზრდა კაცი

რამდენიმე წელია კი

მეგობარი

მანამდე ხომ სხვა ძაღლებიც გყავდა

ახალგაზრდა კაცი

არა

ეს მეორეა

მეგობარი

ესე იგი ბევრი ძალლი არ გყოლია

ახალგაზრდა კაცი

არა

მეგობარი

მე კიდევ მეგონა რომ

რატომღაც

ბევრი ძალლი გყავდა

ახალგაზრდა კაცი

აქამდე მხოლოდ ერთი მყავდა

ის მოკვდა

დაახლოებით ათი წლის იყო

და მერე ეს

მეგობარი

ესეც კაიხანია გყავს არა

ახალგაზრდა კაცი

ათ წელზე მეტია

(ხანმოკლე პაუზა)

თუმცა ჯანზეა და კარგად გამოიყურება

(ხანმოკლე პაუზა)

კონკრეტულად ამ ჯიშის ძაღლები

დიდხანს ცოცხლობენ

თუმცა გააჩნია

მეგობარი

არ ვიცი

ძალი არასდროს მყოლია

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

მეგობარი

აქამდე უნდა მეფიქრა ძაღლის ყოლა-არყოლაზე

ახლა გვიანია

არ გამოვა

ჩემს ბინაში ვერ გავაჩერებ

(ხანმოკლე სიცილით)

შეიძლება გამომავდონ მაგის გამო

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა. ახალგაზრდა კაცი ადგება და გაიხედავს ფანჯარაში)

მეგობარი

აშენ ახლა ძაღლს გახედე

ახალგაზრდა კაცი

(მიუბრუნდება მეგობარს)

ძალს გავხედე თუ არა

მეგობარი

ჰო

ახალგაზრდა კაცი

ეს რა შეკითხვაა

მეგობარი

საწყენად არ მითქვამს

უბრალოდ

(პაუზა)

ფანჯარასთან რომ იდექი

მეგონა ძალს გაჰყურებდი

ახალგაზრდა კაცი

და ასე ამიტომ იფიქრე არა

მეგობარი

ჰო

ახალგაზრდა კაცი

მაინც რამ გაფიქრებინა

მეგობარი

უბრალოდ ასე მეგონა

ახალგაზრდა კაცი

უბრალოდ ასე გეგონა

მეგობარი

თუმცა

ახალგაზრდა კაცი

უბრალოდ ძალი გარეთ გავიდა სუფთა ჰაერზე

ხომ გითხარი უკვე

მეგობარი

ჰო

ახალგაზრდა კაცი

ჰო

ასეა საჭირო

მეგობარი

ჰო ალბათ

საჭიროა

(პაუზა)

ძალზე რომ გკითხე წელან

სწორედ მაშინ გამახსენდა რომ

აქამდე მუდმივად საყელურით დაგყავდა

ამის თქმა მინდოდა მხოლოდ

(პაუზა)

ჯერ კიდევ პატარა როცა იყავი

ყოველთვის საყელურით დაგყავდა ხოლმე ძაღლი

(ხანმოკლე პაუზა)

რაც თავი მახსოვს ძაღლი სულ გყავდა

ყოველთვის ძაღლთან ერთად ხარ ჩემს წარმოდგენაში

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

აღრე ისე შიშობდი ძაღლების გამო

სულ საყელურით დაგყავდა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

მაგრამ ახლა აღარ

ახალგაზრდა კაცი

ჰო აღარ

მეგობარი

(ხუმრობით)

გამოდის

ძალღმა უბრალოდ კი არ გაინავარდა

ვეულისხმობ

შენ კი არ გაგექცა არამედ თავს უშველა

და არც უფიქრია დაბრუნება

როცა ეძახდი

ახალგაზრდა კაცი

რატომ

რატომ მოიქცა ასე

მეგობარი

აბა რა ვიცი

ისე ვთქვი

ახალგაზრდა კაცი

კარგი

(პაუზა)

მეგობარი

იცი რა

(ხანმოკლე პაუზა)

უბრალოდ გადავწყვიტე

რომ უნდა შემომეველო

ჰო

ასეა

(ხანმოკლე პაუზა)

იმდენი ხანი გავიდა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან

(პაუზა)

ჰოდა თუ მოისურვებ

შეგვიძლია

ფიორდისკენ გავისეირნოთ

ცოტას ვითევზავებდით კიდევ

(ხანმოკლე პაუზა)

როგორც ბავშვობაში

მაგარი იქნებოდა

არა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

იმ შემთხვევაში თუ

ხვალ კარგი ამინდი იქნება

ახალგაზრდა კაცი

კარგი

მეგობარი

ვნახოთ

ახალგაზრდა კაცი

მგონი მოხერხდება

მეგობარი

მოკლედ

დილით შემოვივლი

თუ კარგი ამინდი იქნება

და ძლიერი ქარიც არ დაუბერავს

ახალგაზრდა კაცი

(თავს უქნევს)

ჰო

ძალიან კარგი

მეგობარი

ისედაც იშვიათად ვლაპარაკობთ

ასე რომ

ჰო

(წყვეტს ლაპარაკს. ხანმოკლე პაუზა)

როგორც იტყვიან

კონტაქტი არ უნდა გავწყვიტოთ

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეცოდინება

მეგობარი

ამაზე მერე ვილაპარაკოთ

(ხანმოკლე პაუზა)

ახლა კი მისმინე

მაგარი იქნებოდა ძალიც მენახა

მე მიყვარს ძაღლები

იცოდი

ახალგაზრდა კაცი

(ცოტა გაღიზიანებული)

აქ არ არის

გარეთ გავიდა-მეთქი

ხომ გითხარი

მეგობარი

(ხანმოკლე ჩაცინება)

შენ და შენი ძაღლები მოკლედ

ახალგაზრდა კაცი

ამდენი ძალიც

არ მყოლია

მეგობარი

არა

ეს არ მითქვამს

ყოველთვის

ჰო ყოველთვის

როცა კი ამ გზაზე გხედავდი

ძალი ყოველთვის თან გახლდა

ახლა ეს პატარა ყავისფერი გყავს

ადრე კი

ახალგაზრდა კაცი

(აწყვეტინებს)

სულ ორად ორი ძალი მყავდა

მეგობარი

პირველი შავ-თეთრი იყო ხომ

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

ეს კიდევ პატარა ყავისფერია

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

ათი წელია ჩემთანაა

ეს ყავისფერი

ახლა რომელიც მყავს

მეგობარი

ათი წელი დიდი დროა

(ხანმოკლე პაუზა)

ის შავ-თეთრიც კარგად მახსოვს

ისიც დიდხანს გყავდა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

ის მოკვდა

ახალგაზრდა კაცი

ჰო სიბერისგან მოკვდა

მეგობარი

ალბათ ძალიან გენატრებოდა არა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

რა თქმა უნდა

იცი

როგორი მეგობრობა იციან ძაღლებმა

იცი ალბათ

(პაუზა)

მეგობარი

ჰო ადამიანი ხშირად მიეჯაჭვება ხოლმე ძაღლებს

(პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ასეა

ეს თავისთავად ხდება

(პაუზა)

მეგობარი

მომისმინე ახლა

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

გისმენ

(შემოდის დედა. ცალ ხელში საყიდლების ჩანთა უჭირავს)

დედა

ესეც ასე

ყველაფერი ვიყიდე რაც გვჭირდებოდა

კარგია როცა მოსაშორებელს მოიშორებ

დიახაც

(ხანმოკლე პაუზა)

კიდევ კარგი მაღაზიამდე შორი არ არის

(მეგობარს)

ასე და ამგვარად

ახლა შემძლია ყავა მოგიმზადო

მეგობარი

უკვე წასვლას ვაპირებდი

დედა

უნდა დარჩე

მიხარია რომ ისევ გხედავ

თუ ყავას ინებებ

ახლავე მოგიმზადებ

მეგობარი

დიახ გმადლობთ

მაგრამ

იცით

უნდა წავიდე

ახლავე

დედა

მაგრამ ხომ ისევ შემოივლი

მეგობარი

ამაზე უკვე შევთანხმდით

ახალგაზრდა კაცი

(მეგობარს)

ჰო

გამოდის

კიდევ შევხვდებით

(ხანმოკლე პაუზა)

ხვალ დილით

(ახალგაზრდა კაცი კვლავ ფანჯრისკენ ტრიალდება, დგას და იყურება გარეთ.

შემდეგ დედისკენ შემობრუნდება)

დედა

(მეგობარს)

აუცილებლად

(პაუზა)

კარგი ქენი რომ შემოგვიარე

ძალიან გაგვახარე

მეგობარი

ჰო

ვიფიქრე რომ ეს უნდა გამეკეთებინა

დედა

ნამდვილად ასეა

სწორად მოიქეცი

მეგობარი

(ახალგაზრდა კაცს)

მოკლედ

წავედი ახლა

და

ხვალ შევხვდებით

(დედას)

ვიფიქრეთ

ხვალ ფიორდისკენ გაგვესეირნა

შეგვიძლია ვითევზავოთ კიდეც

დედა

რატომაც არა

ძალიან კარგი აზრია

(ახალგაზრდა კაცს)

აუცილებლად წადით სათევზაოდ

აუცილებლად

ახალგაზრდა კაცი

ალბათ მოხერხდება

დედა

ძალიან კარგი

მეგობარი

წავალ

ახლა

დედა

თავს გაუფრთხილდი

მადლობა რომ შემოგვიარე

ახალგაზრდა კაცი

ნახვამდის

მეგობარი

შეხვედრამდე

(მეგობარი გადის)

დედა

(ოხრავს)

კიდევ კარგი

(პაუზა)

ახლა ყავა მაინც მაქვს სახლში

(ხანმოკლე პაუზა)

მშვენიერია

(ხანმოკლე პაუზა)

მის მოსვლამდეც ბევრი აღარ დარჩა

ჰო

ამას შენს დაზე ვამბობ

(დედა უყურებს ახალგაზრდა კაცს, მერე კი ძირს დაიხედავს და ასე ჩერდება ცოტახანს)

ახალგაზრდა კაცი

ძალი ხომ არ გინახავს

დედა

მეკითხები

ძალი ხომ არ მინახავს

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

არა ძალი არ მინახავს

(ძალიან მოკლე პაუზა)

რა კარგია რომ შემოიარა არა

ლაიფზე ვამბობ

რახანია ჩვენთან არ ყოფილა

და ისიც კარგია

რომ

ერთად წახვალთ ფიორდზე

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

იცოდე

აუცილებლად წადი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

დედა

ნამდვილად შორს წავიდა

ძალზე ვამბობ

შენი დაც მალე მოვა

(ხანმოკლე პაუზა)

შენ ხომ არასდროს მოგწონდა

ის კაცი

არა

შენი დის ქმარი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

არასდროს

შენ რა

მოგწონს

დედა

თანდათან უფრო მომწონს

(ხანმოკლე პაუზა)

ისეთი არაფერი სჭირს

რავიცი

(პაუზა)

ჰო კარგი

(პაუზა)

მაგრამ აი

ის რომ

(ხანმოკლე პაუზა)

ლაიფმა შემოიარა

ძალიან კარგია

ჰო ასეა

რახანია მასთან

არ გისაუბრია

ახალგაზრდა კაცი

უამრავი წელია

(პაუზა)

ახლა კიდევ ის მოვა

დედა

რას იზამ

უნდა აიტანო

ახალგაზრდა კაცი

უნდა ავიტანო

დედა

სხვა არჩევანი არ გაქვს

შენი დის ქმარია

(ხანგრძლივი პაუზა)

მოიცა მისმინე

შენ ხომ არ გინახავს ძაღლი

ახალგაზრდა კაცი

ძაღლი ხომ არ მინახავს

რატომ მეკითხები

დედა

ისე უბრალოდ

ახალგაზრდა კაცი

რას ნიშნავს ეს

რატომ მეკითხები

დედა

ისე უბრალოდ

ახალგაზრდა კაცი

პირდაპირ მითხარი

თქვი რასაც ფიქრობ

დედა

(ყოყმანობს)

არა

ახალგაზრდა კაცი

როგორ არა

მითხარი

დედა

არა არაფერი

ახალგაზრდა კაცი

როგორ არა

თქვი

დედა

უბრალოდ გკითხე

ახალგაზრდა კაცი მიდის და წვება ძელსკამზე. წევს და პირდაპირ იყურება. დედა გარეთ გადის საყიდლების პარკით. ახალგაზრდა შებრუნდება და წვება სახით კედლისკენ.

შუქს სიმკვეთრე აკლდება. ბნელდება

მოქმედება 1

სცენა II

*იგივე დღე. საღამო. დედა დგას და ფანჯრიდან იყურება. ახალგაზრდა კაცი წევს
ძელსკამზე და წინ იყურება.*

დედა

(უყურებს ახალგაზრდა კაცს)

ახლა უკვე ცხადია რომ ძალლი არ დაბრუნდება

(ხანმოკლე პაუზა)

შენ კი აქ წევხარ

მთელი დღეა წევხარ

(პაუზა)

ასე არ გამოვა

გამუდმებით წევხარ

ეს ახალგაზრდა კაცი

როგორ შეიძლება

როგორც კი გაიქცა ძალლი

მაშინვე უნდა ამდგარიყავი

და წასულიყავი მოსამებნად

ამის ნაცვლად მოხვედი და აქ დაწექი

(ხანმოკლე პაუზა)

ხომ შეიძლებოდა უბრალოდ დაერეკათ

იქნებ გზაში შეემთხვათ რამე

დიახ

მე მგონია რომ უნდა დაერეკათ

ახალგაზრდა კაცი

(ტრიალდება და უყურებს დედას)

არ მესმის ძალი რატომ არ მოდის

დედა

ჰო

ცოტა არ იყოს უცნაურია

(დედა მიდის ახალგაზრდა კაცისკენ, ყოვნდება)

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(ახალგაზრდა კაცი წამოჯდება ძელსკამზე)

დედა

მაგრამ

ნუ გავიწყდება რომ ჩვეულებრივი ძალია

ახალგაზრდა კაცი

ჩვეულებრივი ძალი

დედა

ჰო ჩვეულებრივი ძალია

(ხანმოკლე პაუზა)

თუ ასე ნერვიულობ მის გამო

რამე უნდა გააკეთო

წადი და მოძებნე

არ შეიძლება ასე

(წყვეტს ლაპარაკს, ძალიან მოკლე პაუზა)

არა

(პაუზა)

ეს შენი დაც სად არის აქამდე

რატომ არ მოდის

ახალგაზრდა კაცი

ნეტავ სულ არ მოვიდოდნენ

ვერ ვიტან მის ქმარს

(ხანმოკლე პაუზა)

თავიდანვე არ მომეწონა

დანახვისთანავე

დედა

მაგრამ ისიც ჩვენი ოჯახის წევრია

ერთად უნდა ვიცხოვროთ

რამდენადაც გამოგვივა

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია მაგრამ მისი ატანა არ შემიძლია

დედა

ასე არ გამოვა

(ხანმოკლე პაუზა)

რა მოგივიდა

ისიც ერთი ჩვეულებრივი კაცია

რა იყო

ახალგაზრდა კაცი

გოგოებიც მოჰყავთ

დედა

არა ბავშვები დედამისთან დატოვეს

თვითონ ხომ ქორწილში იყვნენ

მისი ერთ-ერთი მეგობრის ქორწილში

ადრე გეუბნებოდი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

თუმცა

(რალაც ხმას ყურს უგდებს)

თითქოს მანქანის ხმა ისმის

(დედა მიდის ფანჯარასთან და იხედება)

მოსულან

კიდევ კარგი

(ახალგაზრდა კაცი წამოდგება)

მოვიდნენ როგორც იქნა

(ხანმოკლე პაუზა)

რამდენი ხანია აქ არ ყოფილა

შენი და

(ხანმოკლე პაუზა)

ის კიდევ

სულაც არ არის ისეთი ცუდი როგორც შენ ფიქრობ

დამიჯერე

შენი სიძე არ არის ცუდი კაცი

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

კარგი

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

გარეთ გავალ

შევეგებები

(ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

კარგი

(კარზე აკაკუნებენ და შემოდის ახალგაზრდა კაცის და)

და

აი მოვალწიეთ როგორც იქნა

რამდენი დრო დაგვჭირდა

დედა

რა კარგია რომ მოხვედით

უკვე ნერვიულობას ვიწყებდი

ხომ იცი

და

ჰო

კარგად მესმის

თუმცა ახლა უკვე აქ ვართ

ესეც ასე

დედა

ჰო როგორც იქნა

(ხანმოკლე პაუზა)

ხომ კარგად იმგზავრეთ

და

კი

მშვენირად

(ახალგაზრდა კაცს)

ეეე რა მაგარია

ძალიან მინდოდა შენი ნახვა

დედა

რა კარგია რომ ჩამოხვედით
(შემოდის სიძე. მოაქვს ჩანთა)

სიძე

(დედას)

ჰო

(ილიმება)

აი უკვე აქ ვართ

კარგახანს კი ვიყავით გზაში

დედა

დიდხანს კი გელოდით

სიძე

ჰო ხშირად ხდება ასე

(სწრაფად გაიხედავს ახალგაზრდა კაცისკენ და მერე ისევ დედას შეხედავს)

წუხელ გვიან დავწექით

და ამიტომ ადრე ვერ ავდექით

მერე ხომ იცით

ხან ეს ხან ის და

შეგვაგვიანდა

დედა

ჰო ხდება ხოლმე

(პაუზა)

სიძე

აქ ყველაფერი ძველებურადაა

(სიძე ახალგაზრდა კაცს შეხედავს)

შენსკენაც ისევ ისეა საქმე

(ხანმოკლე პაუზა)

არაფერია ახალი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

ყველაფერი ძველებურად

სიძე

(დედას)

რა კარგია რომ უკვე აქ ვართ

(ხანმოკლე პაუზა)

დიდხანს ვიყავით გზაში

დედა

(დას)

ქორწილში რა ხდებოდა

კარგი იყო

და

კი ძალიან

სიძე

ჰო

ბევრი სტუმარი ჰყავდათ

დედა

მართლაც ამდენი ხალხი იყო

სიძე

ჰო

და

ჰო უამრავი ადამიანი მოვიდა

სიძე

(ახალგაზრდა კაცს)

შენი საქმეები ხომ კარგად მიდის

ახალგაზრდა კაცი

ჰო ნორმალურად

დედა

(სიძეს)

გამოდის

დიდი ქორწილი ყოფილა

სიძე

(ახალგაზრდა კაცს)

ჰო

ესე იგი ყველაფერი ძველებურადაა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

(სიძეს)

და ყველაფერმა კარგად ჩაიარა

როგორც წესი და რიგია

და

(დედას)

ჰო

მთლიანობაში კი

დედა

დიდი ცეკვა და გართობა იყო

და

ჰო გათენებამდე

დედა

და მოკლედ

ასე დაქორწინდნენ

უკვე ორი ბავშვი ჰყავთ

არა

და

კი და ორივე ჰყავდათ ქორწილში

გოგონა პატარძლის ხელისმომკიდე იყო

დედა

ჰო ახლა ასე აკეთებენ

სიძე

(ახალგაზრდა კაცს)

კარგი ქორწილი იყო

მართლაც

დედა

კარგია კარგი ამბავი

სიძე

ჰო მართლა

ბოლო დროს ახალ მეზობელთან ხომ არ გილაპარაკია

ხომ იცი ვიცნობ მაგას

არც ისე კარგად

მაგრამ ადრე მქონდა შეხება

დედა

(პასუხობს სანამ სიძე წინადადებას დაასრულებს)

არა

მხოლოდ მაღაზიაში

თუ შევხვდებით

ხოლმე

ან სადმე ასეთ ადგილას

სულ ორი სიტყვა

თუ გვითქვამს

ერთმანეთისთვის

დიდი ენაწელიანიც არ ჩანს

(ხანმოკლე პაუზა)

სიმშვიდისმოყვარული კაცია ეტყობა

სიძე

ჰო მეც ასე მგონია

წყნარი კაცია

კარგი სახლი კი აუშენებია

დედა

ჰო

სიძე

მაგას ორი გოგო არ ჰყავს

დედა

ორი მშვენიერი ქალიშვილი

სიძე

კარგი იქნებოდა შევხვედროდი

ძველი დროის ხათრით

დედა

შეგიძლია წახვიდე და დაელაპარაკო

სიძე

ჰო

მართლაც შეიძლება

დედა

მაშინ წადი

რადას უცდი

სიძე

რა არის იცი

ადრე ვიცნობდი

თუმცა არც ისე კარგად

დროდადრო გვიწევდა ხოლმე შეხვედრა

რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს გეუბნები

კარგი ტიპია

ძალიან მშვიდი

(ახალგაზრდა კაცს)

გილაპარაკია მასთან

(ახალგაზრდა კაცი უარის ნიშნად თავს იქნევს)

(სიძე ისევ ახალგაზრდა კაცს მიმართავს)

რაშია იცი საქმე

მე ვიცნობ

თუმცა არც ისე კარგად

დედა

გასაგებია

სიძე

აჰ კარგი

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

მოდი ჯერ ყავას შემოგთავაზებთ

და თუ გნებავთ

სადილსაც

და

ჰო კარგი იქნებოდა

სიძე

მე მინდა

სიამოვნებით გეახლებით

დედა

ცოტაც და

ყავას ვერ დაგაღვინებდით

მაღაზიის დაკეტვას რომ წუთები აკლდა

სწორედ მაშინ შევამჩნიე რომ ყავა აღარ გვექონდა

თუმცა მაინც წავედი და დაკეტვას მივუსწარი

და

კიდევ კარგი თორემ ხომ დავრჩებოდით უყავოდ

რა უნდა გვექნა

დედა

რა უნდა გვექნა და

ამასაც შევეგუებოდით

სიმე

(ახალგაზრდა კაცს)

ჰო მართლა

ძალღს რა უყავი

ახალგაზრდა კაცი

გარეთ გავიდა

სიმე

ანუ

მარტო უშვებ ხოლმე

სიამოვნებით ვიყოლიებდი მეც ძალღს

მაგრამ შენს დას არ უნდა

ყოველთვის მიყვარდა ძალღები

ბავშვობაში მყავდა სხვათა შორის

(ხანმოკლე პაუზა)

მაგრამ წამართვეს

რადგან ერთ ბავშვს უკბინა და წაიყვანეს

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

სიძე

შენს დას არ უნდა ძალლი

ჰო შენს დას

ასე რომ ძაღლის ყოლა არ გამოვა

(საკმაოდ მოკლე პაუზა)

ესე იგი შენ ამბობ რომ

ძალლი გარეთ გავიდა

ახალგაზრდა კაცი

ასე მგონია

სიძე

ალბათ

გარეთ ყოფნა უყვარს

ახალგაზრდა კაცი

ჰო

სიძე

(დედას)

და სხვა მხრივ ხომ ყველაფერი რიგზეა

დედა

კი სრული სიმშვიდეა

სიძე

მართლაც ასე ჩანს

(სიძე მიდის ფანჯარასთან და იხედება)

დედა

(დას)

საკმაოდ გვიანია

მგონი ხვალამდე აქ მოგიწევთ დარჩენა

და

ჰო

მგონი ასე აჯობებს

გოგოები ისედაც ბებიასთან რჩებიან ხვალ შუადღემდე

მაგრამ 12 საათზე ჩემი დედამთილი ექიმთან მიდის და

მანამდე უნდა წამოვიყვანოთ

დედა

მშვენიერია

ლამეს აქ გაათევთ

(ხანმოკლე პაუზა)

რა კარგი იქნებოდა გოგოებიც რომ წამოგეყვანათ

და

მალე გესტუმრებით ყველა ერთად

სიძე

თქვენს ახალ მეზობელს ვხედავ

გზას მიუყვება

ხომ არ წავიდე და გამოველაპარაკო

რატომაც არა

წავალ და ძველ დროს გავიხსენებ

ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი

და

კარგი

სიძე

რამდენი ხანია არ მინახავს

დედა

და გაითვალისწინე რომ დიდხანს არ დარჩე

აი უკვე ვიწყებ კერძის მომზადებას

სიძე

არა

ორ სიტყვას ვეტყვი და წამოვალ

(სიძე გადის, თან მიაქვს ჩანთა. პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

(დას)

ანუ ყველაფერი რიგზეა

და

ჰო ნორმალურად მაგრამ სულ დაკავებული ვარ

სხვანაირად არ გამოვა როცა ორი ბავშვი გყავს

და სრულ განაკვეთზე მუშაობ

მაგრამ მაინც ჰო

ყველაფერი რიგზეა

შენსკენ რა ხდება მითხარი

ახალგაზრდა კაცი

რა გითხრა

მეც კარგად

დედა

ჰო ჩვენსკენ

ყველაფერი კარგადაა

(პაუზა)

და

დიდი ხანია შინ არ ვყოფილვარ

დედა

ჰო მიხარია აქ რომ გხედავ

და

სულ რაღაც საქმეა გასაკეთებელი

ხომ იცი

დედა

გოგოებიც მშვენივრად არიან

და

ჰო რაც უფრო იზრდებიან მით უკეთ გრძნობენ თავს

დედა

კარგია

ასეც უნდა იყოს

(პაუზა)

და

დაუჯერებელია

სწრაფად გადის დროს

დედა

ჰო მალე სრულწლოვანები იქნებიან

შენი შვილები

წარმოგიდგენია

და

ჯერ არ მინდა ამაზე ფიქრი

დედა

მალე უკვე დამოუკიდებლად შეძლებენ

ბეზიას სანახავად

ჩამოსვლას

მარტონი

და

ასეა მაგრამ

რომ იცოდე სულაც არ მომწონს ეს აზრი

(ივინის)

ჰო

განა ის არ მომწონს რომ აქ მარტონი ჩამოვლენ

არ მსიამოვნებს ასე სწრაფად რომ გაიზარდნენ

ამას ვგულისხმობ

(პაუზა)

დედა

მირჩევნია წავიდე და საჭმელს მივხედო

ახლავე

(პაუზა)

და

აქ ისევ ძველებურადაა ყველაფერი

მართლაც

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

და

ძველებურად სულ უკრავ გიტარაზე?

ახალგაზრდა კაცი

(ყოყმანობს)

არა

დედა

არა სულ უფრო ნაკლებად

და

აღრე ამის მეტს არაფერს აკეთებდი

დედა

ჰო სულ უკრავდა

მართალი გითხრა

უკვე მოსმენაც აღარ შემეძლო

(დედა იცინის ცოტახანს)

და

რა მოგივიდა

გიტარა აღარ გიყვარს

ახალგაზრდა კაცი

(ყოყმანობს)

არა

და

არადა რა კარგად უკრავდი

ახალგაზრდა კაცი

არც ისე

(პაუზა)

დედა

არც არავინ ჰყავს ვისთან ერთადაც დაუკრავდა

და

აი რა ყოფილა მიზეზი

ალბათ მოსაწყენია მარტო დაკვრა

მაგრამ ხანდახან ხომ მაინც უკრავ არა

(ახალგაზრდა კაცი თავს იქნევს უარის ნიშნად)

დედა

გიტარა გაყიდა

და

არ ვიცოდი

დაგრხევია და ეგ არის

ფინანსურად

ახალგაზრდა კაცი

არა

მე

(წყვეტს წინადადებას. საკმაოდ მოკლე პაუზა)

დედა

არადა ლაიფი

ამის ბავშვობის მეგობარი

იყო დღეს ჩვენთან

ხომ გახსოვს ლაიფი არა

და

კი

დედა

სახლში ჩამოსულა ცოტახნით

და

როგორც ვიცი

ქალაქში მუშაობს

დედა

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

და

(ახალგაზრდა კაცს)

და მშვენივრად მისდის თურმე საქმე

ლაიფზე ვამბობ

ახალგაზრდა კაცი

მეც ასე ვფიქრობ

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

ძალიან კარგი ქნა რომ

შემოგვიარა

იშვიათი სანახავი გახდა

ისიც

და

არც ისე ხშირად ჩამოდის ხოლმე

დედა

ჰო

ათასში ერთხელ

და

ჰო რამდენი ხანია რაც ამ სახლში

ფეხი არ დაუდგამს

დედა

წლებია

და

(ახალგაზრდა კაცი)

ჰოდა კარგია რომ ისევ ნახე

ახალგაზრდა კაცი

ჰო

და

კიდევ შემოივლის

ახალგაზრდა კაცი

ჰო

ხვალ ალბათ ფიორდზე გავალთ

ცოტას ვითევზავებთ

და

მას ხომ ნავი აქვს

ახალგაზრდა კაცი

ჰო მამამისის ძველი ნავი

და

მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

და

(ცოტახანს დაფიქრდება)

ჰო მახსოვს ის ნავი

(ხანმოკლე პაუზა)

მამამისი ხშირად თევზაობდა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

და

ახლა კი შვილი თევზაობს

ახალგაზრდა კაცი

როგორც ჩანს იშვიათად

დედა

მხოლოდ მაშინ როცა სახლში ჩამოდის

(ხანმოკლე პაუზა)

მაგრამ აქ ხომ იშვიათად არის

ქალაქში სამსახურის გამო

(ხანმოკლე პაუზა)

რას ვლაპარაკობ

უნდა წავიდე და საჭმელი მოვამზადო

(დედა გადის. პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ხომ რჩებით

და

ასე გამოდის

(ხანმოკლე პაუზა)

მერე

ფიორდისკენ თევზი იქნება

ახალგაზრდა კაცი

მგონი კი

და

დარწმუნებული ვარ იქნება

(პაუზა)

გიყვარს თევზაობა

ახალგაზრდა კაცი

ისე რა

და

ყოველ შემთხვევაში ადრე გიყვარდა

ბავშვობაში

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

და

ესე იგი გიტარაზე აღარ უკრავ

ახალგაზრდა კაცი

არა

დიდიხანია

რაც აღარ დამიკრავს

და

აღარ გინდა

ახალგაზრდა კაცი

არა

და

არავინ გყავდა ვისთანაც დაუკრავდი

ახალგაზრდა კაცი

ესეც იყო მიზეზი

(ხანმოკლე პაუზა)

და

მანც არ უნდა დაგენებებინა თავი

ახალგაზრდა კაცი

მართალია

და

დასანანია

კარგად უკრავდი

ახალგაზრდა კაცი

არც ისე

და

როგორ არა

ახალგაზრდა კაცი

მე თვითონ აღარ მომწონდა

(პაუზა)

და

სამაგიეროდ ახლა ძალი გყავს

(ივინის)

არა

რა სისულელეს ვამბობ

არ გეშინია

როცა გარეთ უშვებ

უფრო სწორად

როცა თავის ნებაზე დარბის ხოლმე აქეთ-იქით

(შემოდის დედა)

დედა

საჭმელი მალე მზად იქნება

(პაუზა)

(დას)

შენი ქმარი რომ არ მოსულა ჯერ

(ხანმოკლე პაუზა)

არაუშავს

მოვა მალე

ხომ იცოდა რომ უნდა გვესადილა

(და ფანჯარასთან მიდის, იხედება და მერე დედისკენ ტრიალდება)

აი გზაზე მოჩანს

ქვემოთ

და იმას ელაპარაკება

(ხანმოკლე პაუზა)

ჰო

თქვენს ახალ მეზობელს ელაპარაკება

დედა

იცნობდნენ ერთმანეთს

ადრე

როგორც ჩანს

და

ჰო დგანან და საუბრობენ

(ხანმოკლე პაუზა)

მგონი ადრე

გარკვეული ხნის განმავლობაში

ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს

თვითონ მითხრა ადრე

(და იცინის ცოტახანს)

დედა

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

და

რა იყო

არ მოგწონს ის შენი ახალი მეზობელი

დედა

რავიცი რა უჭირს

(პაუზა)

და

არაფერი

დედა

თუმცა კარგად არ ვიცნობ

და

ჰო არა

(პაუზა)

აქ კი ყველაფერი

ისევ ისეა

დედა

ჰო

ბევრი არაფერი ხდება

(ხანმოკლე პაუზა)

იმედია

შენი ქმარი

მალე მოვა

სადილი მზადაა

(და ფანჯრიდან იყურება)

და

ალბათ მოდის

ყოველ შემთხვევაში აქედან გზაზე აღარ ჩანს

დედა

ძალიან კარგი

და

მშია

საჭმელი არ მაწყენდა

დედა

რა კარგია რომ აქ ხარ

ბოლო დროს იშვიათად ვხვდებით ხოლმე

და

ჰო მეტისმეტად იშვიათად

დედა

და გოგოები

მათი ნახვაც

გამიხარდებოდა

და

მალე ისევ გესტუმრებით
და ბავშვებსაც წამოვიყვანთ

დედა

ჰო აუცილებლად წამოიყვანეთ
(პაუზა)

და

(ახალგაზრდა კაცს)
მოულოდნელი იყო ჩემთვის რომ აღარ უკრავ

დედა

ჰო

და

ამას არასდროს ვიფიქრებდი
(ხანმოკლე პაუზა)

შენ და გიტარა ისე იყავით

მეგონა

ვერაფერი დაგაშორებდათ

(ხანმოკლე პაუზა)

თან აშკარად კარგად გამოგდიოდა

ჩემი აზრით ფანტასტიურად

ჰო

ყველაფერს უკრავდი

სიმღერას გაიგონებდი თუ არა

მაშინვე შეგეძლო მელოდიის აწყობა

ახალგაზრდა კაცი

არა

შენ როგორც ამბობ

ისე მხოლოდ ხანდახან გამომდიოდა

და

მაგრამ მაინც ხომ გამოგდიოდა

ახალგაზრდა კაცი

საკმარისად კარგად არა

და

ასე ნუ ამბობ

ახალგაზრდა კაცი

მართალია საშინლად არ ვუკრავდი

მაგრამ

ბევრიც არაფერი

და

შენ ხომ

გიყვარდა გიტარაზე დაკვრა

ახალგაზრდა კაცი

ალბათ

(ხანმოკლე პაუზა)

თავისებურად მიყვარდა

მაგრამ მერე

(ხანმოკლე პაუზა)

ჰო მერე აღარ მევასებოდა

შეიძლება ითქვას შემძულდა კიდეც

ატანა არ მქონდა

და

რას ამბობ

ახალგაზრდა კაცი

აღარასდროს დავუკრავ

და

მაგრამ შენ

დედა

მალე სუფრას მივუსხდებით

და

ისიც მალე მოვა

დედა

უკვე დროა

და

(მიდის ფანჯარასთან, იხედება)

არსად ჩანს

დედა

მშვენიერია

(პაუზა)

და

(ახალგაზრდა კაცს)

როცა შენზე ვფიქრობ

თვალწინ ყოველთვის ერთად წარმომიდგებით ძალღი გიტარა და შენ

(პაუზა. შემოდის სიძე)

სიძე

(ქოშინებს. მიმართავს ახალგაზრდა კაცს)

მომისმინე

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

შენ

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

რა ხდება

სიძე

მომისმინე

გარეთ

გადი

დედა

გადი

სიძე

ჰო იქ

(ხანმოკლე პაუზა)

გარეთ რაღაც დევს

კართან

დედა

გარეთ კართან რაღაც დევს

სიძე

იქ ეზოში

ჰო შემოსასვლელ კართან

ეზოში

ეს ხომ

(ჩვეტს ლაპარაკს)

და

რას ნიშნავს „რაღაც დევს“

სიძე

რას

(ოდნავ უძწეო გამომეტყველებით უყურებს დას)

რას

დედა

რაც დევს

სიძე

ჰო დევს

(ხანმოკლე პაუზა)

იქაა

(პაუზა. ახალგაზრდა კაცი გადის)

ჰო

საშინელებაა

ჰო

ეს მისი ძაღლია

და

მისი ძაღლი

სიძე

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

ჰო ისაა

(ჩვეუტს ლაპარაკს)

დედა

ძაღლს რა შეემთხვა

სიძე

მკვდარია

(ხანმოკლე პაუზა)

და

ალბათ უკვე ბებერი იყო

დედა

ჰო

და

არადა როგორ უყვარდა თავისი ძალლი

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

ძალიან უყვარდა

და

ყოველთვის ძალიან უყვარდა ძაღლები

დედა

ზედმეტადაც კი

შეიძლება ითქვას

და

ისეა თითქოს

ჰო ეს ძაღლები

დედა

სულ პატარა იყო ძაღლებზე რომ გიჟდებოდა

და

მისი ეს გატაცება ვერასდროს ამოვხსენი

დედა

შეუძლებელია

სიძე

თუმცა

ჰო

და

სულ ერთად იყვნენ ის და ძალლი

დედა

მეტისმეტაც კი მოსდიოდათ

სიძე

მაგრამ

და

საშინელებაა ახლა მისი სიკვდილი

მისი ძაღლის სიკვდილი

(ხანმოკლე პაუზა)

რამდენი ხანია რაც ეს ძაღლი ჰყავს

დედა

ათი წელია

შეიძლება თხუთმეტიც

და

ის

(წყვეტს ლაპარაკს. პაუზა)

სიმე

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

მართალია ძაღლი ბებერი იყო

მაგრამ

(საკმაოდ მოკლე პაუზა)

როგორც ჩანს იმან ესროლა

თქვენმა მეზობელმა

და

რა

ძაღლი მან მოკლა

სიმე

ჰო

იმან

ცოტა ხნის წინ

რა თქმა უნდა მერე ინანა

უბრალოდ ძალიან იყო გაბრაზებული

(საკმაოდ მოკლე პაუზა)

დიახ

გუწრფელად ნანობდა

მაგრამ არ იცოდა რა ექნა

ეშინოდა პატრონის რეაქციის

და მერე

ჰო

ცელოფნის პარკში გაახვია

სხვა რა უნდა ექნა

თავიდან უნდა მოეშორებინა

და

ესღა მოიფიქრა

და

ცელოფნის პარკში გაახვია

შავი ცელოფნის პარკში

სიძე

თან არ იცოდა დაემარხა თუ რა ექნა

და მერე მე ვუთხარი

რომ სახლში წამოვიღებდი

რომ ასე სჯობდა

თუმცა არ ვიცი

იქნებ

(წყვეტს ლაპარაკს)

და

(აღშფოთებული)

არა

საშინელება მოხდა

თითქოს ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგაა

ეს ძალიან ხომ მისი საყვარელი არსება იყო

სიძე

გულწრფელად ნანობდა ისიც

არ იცოდა რა ეთქვა

და

ახალი ძალი მოუყვანოს

სიძე

ეს არ უნდა გაეკეთებინა

თვითონვე თქვა

მაგრამ

ჰო

ამ ძალს ხშირად ხედავდა თურმე

მის ბაღში რამდენჯერმე მოუსაქმებია კიდევ

და მერე ანუ დღეს

მისი ერთ-ერთი გოგოსთვის მკლავზე უკბენია

ბავშვს თურმე თამაში უნდოდა

მაგრამ ასე მოხდა

კანში არ შეუღწევია

მაგრამ

ნაკბილარები კი ატყვია თურმე

და ეს კაცი ისე შეშინებულა

როგორც თვითონ თქვა

და ისე გამწარებულა რომ

(ხანმოკლე პაუზა)

როგორც ხდება ხოლმე

ხომ იცით

როცა ბავშვს რამე ცუდი შეემთხვევა

და

ჰო ასეა

სიძე

რა თქმა უნდა

ბავშვებზე ყოველთვის ნერვიულობ

აბა რა

და თუ რამე ცუდი ემართებათ ხომ საერთოდ

(ხანმოკლე პაუზა)

მეც შემემთხვა ასეთი ამბავი

მწარედ მახსოვს

ბავშვობაში ძალი რომ წამართვეს

და

ჰო

ხშირად იხსენებ ხოლმე ამ ამბავს

სიძე

ჯერ კიდევ ვერ მომინელებია

(პაუზა)

დედა

როგორც გავიგე

მან მოკლა

არა

სიძე

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

და ალბათ აქ არ უნდა მომეტანა მისი გვამი არა

როგორ გგონიათ

და

და მაინც

ვერ ვიჯერებ

დედა

ახლა რა უნდა ვქნათ

სიმე

ასეთი ამბავია და

რას იზამ

და

თან ისე უყვარდა ეს ძაღლი

არა არა დაუჯერებელია

სიმე

ჰო

ძალიან უყვარდა

და

არა წარმოუდგენელია

დედა

რას იზამ

ასეთი ამბავია

მუქი ქრება. ბნელდება

მე-2 მოქმედება

სცენა III

(მომღევენო დილა. ახალგაზრდა კაცი დგას და ფანჯრიდან იხედება. დედა მას უყურებს)

დედა

აქ ნუ დგახარ და ნუ მისჩერებიხარ ერთ ადგილს
ჰო გასაგებია რომ შენი ხელით გაუკეთე საფლავი
თუ რა უნდა დავარქვა ამას არ ვიცი
მაგრამ სხვა ადგილას უნდა დაგემარხა შენი ძალი
და არა პირდაპირ მისაღების ფანჯრის წინ

(დედა იცინის უგუნებოდ)

რადგან ჩვეულებრივი ამბავი არ არის
ძალის შუალამისას დამარხვა და თან საფლავის გათხრა
პირდაპირ მისაღების ფანჯრის წინ

ახალგაზრდა კაცი

ასარჩევად არ იყო ადგილები

დედა

ჰო მაგრამ
არც ცხვირწინ უნდა დაგემარხა
(ხანმოკლე პაუზა)

და არ არის აუცილებელი გამუდმებით მაგ ერთ ადგილზე იდგე და საფლავს უყურო
ჰო ასეა ეს

ახალგაზრდა კაცი

გეთანხმები
(პაუზა)

დედა

ჰოდა ნუ დგახარ

მერე

ახალგაზრდა კაცი

რატომ არ შეიძლება აქ ვიდგე

დედა

არ მინდა და იმიტომ

ახალგაზრდა კაცი

იმიტომ რომ შენ არ მოგწონს

დედა

ჰო არ მომწონს

ახალგაზრდა კაცი

აქ დგომით რას ვაშავებ

დედა

გითხარი რომ

არ მომწონს

ახალგაზრდა კაცი

სამაგიეროდ მე მომწონს

დედა

ანუ მოგწონს

ახალგაზრდა კაცი

ჰო რადგან ვდგავარ ესე იგი ასე მინდა

დედა

მაშინ იდექი

(პაუზა. შემოდის და, დედა მას შეხედავს და თავს გაიქნევს)

და

მგონი წასვლის დროა

დედა

(დას)

აი ასე დგას მანდ მთელი დღე

და

ჰო

(პაუზა)

რა გაეწყობა

დგას და იდგეს

(პაუზა)

ჩვენ კიდევ

(საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

წასვლის დროა

ბავშვებსაც უნდა შევუაროთ

ჩემი დედამთილი ხომ ექიმთან მიდის

დედა

რა გაწამაწიაში ხარ

და

ჰო რადგან ბავშვები თორმეტამდე უნდა წამოვიყვანოთ

დედა

კარგი

(პაუზა)

და

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

ნეტავ ისიც წამოვიდოდეს

მაშინ ჩვენ

დედა

(დას აწყვეტინებს და მიმართავს ახალგაზრდა კაცს)

აქ მოდი

სულ მანდ ნუ დგახარ
დაელაპარაკე შენს დას სანამ წავა

და

(ახალგაზრდა კაცს)

ჰო გავდივართ

ორ წუთში

(ხანმოკლე პაუზა)

ნეტავ წამოსვლა შეეძლოს

დედა

შენი ქმარი რომ არ დაბრუნებულა

ცოტახნით გავიდა როგორც ვიცი

და

ჰო რა ვქნა

მაგისი რომ ვიცი დროულად არ მოვა

თუმცა თქვა რომ ცოტას გაივლიდა ფიორდისკენ

სანაპიროს დაუყვებოდა

და მალე დაბრუნდებოდა

(ხანმოკლე პაუზა)

ნეტავ რატომ არ მოდის

დედა

მალე აქ გაჩნდება

და

თქვა მხოლოდ სანაპიროზე ჩავალ

და ცოტას გავივლიო

თუმცა ამდენი ხანი გავიდა და ჯერ არ ჩანს

დედა

მალე აქ იქნება

აი ნახავ

და

როგორ უნდა დავიწყებოდა

(და გაიხედავს ფანჯრისკენ, სადაც ახალგაზრდა კაცი დგას და გარეთ იყურება.

მიმართავს ახალგაზრდა კაცს)

ხომ არ ჩანს

(ახალგაზრდა კაცი არ პასუხობს, მიმართავს დედას)

ყოველთვის ასე ხდება რა

(პაუზა. და მიდის ფანჯარასთან და იხედება)

რა კარგია აქ ყოფნა

ყოველ შემთხვევაში ახლა

როცა არ წვიმს

დიდებულია ეს ფიორდი და მთები

მშვენიერი დღეა

მართლაც

(ხანმოკლე პაუზა)

ფიორდთან სამარისებული სიჩუმეა

(ხანმოკლე პაუზა)

იქ კი

ხედავ გზაზე

ის მოდის

შენი ბავშვობის მეგობარი

რა ჰქვია

ჰო ლაიფი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

და

ალბათ აქეთ მოდის

(ხანმოკლე პაუზა)

როგორც ჩანს არა

ჩვენი გზიდან გადაუხვია

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

და

მშვენიერი დღეა

შეგიძლიათ დღეს

შენ და ის

შენ და ლაიფი

სათევზაოდ წახვიდეთ

როგორც შეთანხმდით

დედა

რა თქმა უნდა

ხომ დათქვით

აი ლაიფმაც ჩაიარა

და

ჰო

დედა

ჰო

(საკმაოდ მოკლე პაუზა)

მშვენიერი დღეა

(ხანმოკლე პაუზა)

განსაკუთრებით ზამთარში

ჩამოწვება ხოლმე სიბნელე

და მაშინ კი ძნელია აქ გაჩერება
მაგრამ გაზაფხული სასიამოვნოა
და შემოდგომაც კარგი
იქნება ბოლოს

და

(დედას)

ჰო

ეს ხომ ასეა

ნეტავ ეს ჩემი ქმარი სად დაიკარგა
მალე თუ არ მოვა წავალ და მოვძებნი

ახალგაზრდა კაცი

მგონი ახალ მეზობელთან შევიდა

და

მეზობელთან

რატომღაც არ მიკვირს

ახალგაზრდა კაცი

ჰო აი წუთის წინ დავინახე

დედა

მალე მოვა

ხომ იცის რომ მალე უნდა წახვიდეთ

(პაუზა)

და

და მაინც

რატომ არ მოდის ნეტავ

(პაუზა)

საშინელება იყო ძალღს რაც შეემთხვა

მაგრამ მშვენიერი საფლავი

კი გაუკეთე

დედა

ჰო ვერაფერს იტყვი

ახალგაზრდა კაცი

სხვა რა უნდა მექნა

სადმე ხომ უნდა დამემარხა

დედა

უნდა დაგემარხა

ჰო კარგი

მოვრჩეთ

და

ჰო კარგი მორჩით რა

(პაუზა. და ფანჯრიდან იხედება)

აი ისიც

ედირსა

მადლობა ღმერთს

ჰო

როგორც ჩანს თქვენს ახალ მეზობელთან იყო

მის ეზოში დგას

სახლთან

მართლაც კარგი სახლი აუშენებია

ამ ახალ მეზობელს

დედა

ჰო

და

მაგრამ ისე დგას და ლაპარაკობს თითქოს სულ არ გვეჩქარებოდეს

რადაც ვერ ვატყობ სახლში მოსვლას ჩქარობდეს

შენც არ მომიკვდე

ახლავე წავალ და წამოვიყვან

დედა

მალე მოვა

აი ნახავ

და

ნახე ახლა მანქანით მოდის ვიღაც

ჰო ვიღაც მიდის თქვენს მეზობელთან

არა

(დედას)

მეტის მოთმენა აღარ შემიძლია

წავალ და მოვიყვან

დედა

ჰო

დროა უკვე

და

როგორ შეიძლება ასე უდარდელად იდგეს ეზოში

როცა წესით უკვე წასულები უნდა ვიყოთ

(ხანმოკლე პაუზა)

ახლა კიდევ ვიღაც მოვიდა

შეიძლება იმასაც ჩამოუდგეს და გაუბას ლაპარაკი

მანქანით რომ მოვიდა იმას

არა ახლავე უნდა მოვიდეს

მე თვითონ წავალ და მოვიყვან

დედა

მიდი

რადას უყურებ

და

მგონი მართლა უნდა წავიდე

(და გადის და დედა დადის. ჩერდება, დგას და ძირს იყურება. პაუზა)

დედა

(შეხედავს ახალგაზრდა კაცს)

ოღონდ მანდ ნუ დგახარ რა

არ შეიძლება სულ ასე იდგე

და საფლავს გადაჰყურებდე

მოდი ცოტა ყავა დალიე

დღეს ყავაც კი არ მოგისვამს

ახალგაზრდა კაცი

არა

ვერ დავლევ

(ხანგრძლივი პაუზა)

დედა

ასე ძალიან ნუ განიცდი

ძალღია ბოლოსდაბოლოს

(ხანმოკლე პაუზა)

ყავა მოვადუღე

სამზარეულოშია

ახალგაზრდა კაცი

არ მინდა ყავა

გითხარი უკვე

დედა

მაშინ აღარ იფიქრო იმ ძალღზე

(პაუზა)

შეგიძლია სხვა მოიყვანო

(დედა მიდის ფანჯარასთან, დგას და გარეთ იყურება)

ახალგაზრდა კაცი

არ მინდა სხვა ძალი

დედა

იმ მანქანას შეხედე

ეს ხომ

ჰო

ეს ექიმის მანქანაა

ახალგაზრდა კაცი

არ ვიცი

საიდან უნდა ვიცოდე

დედა

ჩემი აზრით ისაა

მგონი ექიმს ჰყავს ასეთი მანქანა

ჰო სწორედ ასეთი

დიდი

ლურჯი

მანქანა

სწორედ ისაა

წელან რომ მოვიდა

ვცდები ვითომ

არა არ ვიცი

შეიძლება ნებისმიერი სხვა მანქანაც იყოს

ახალგაზრდა კაცი

შეიძლება

დედა

(პაუზა. დედა ფანჯარას სცილდება)

მომისმინე

მოდი აქ

რამე შეჭამე

ერთი ფინჯანი ყავა მაინც დალიე

გთხოვ

ასე ნუ დგახარ

ახალგაზრდა კაცი

უბრალოდ ვდგავარ

რამე გაქვს საწინააღმდეგო

დედა

არა მაგრამ

(ხანმოკლე პაუზა)

ნუ ფიქრობ ძაღლზე

კმარა

რამე სხვაზე იფიქრე

რამე შეჭამე

სასეირნოდ წადი

(ხანმოკლე პაუზა)

და მერე მოგვიანებით

შენ და ლაიფი ფიორდზე გასვლასაც შეძლებთ

ცოტას ითევზავებთ გაერთობით

ახალგაზრდა კაცი

რატომ არ შეიძლება უბრალოდ აქ ვიდგე

რამეს ვაშავებ

გაწუხებ

დედა

არა არ მაწუხებ

მაგრამ

(წყვეტს ლაპარაკს. ისევ ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება)

ახლა კი

ჰო ის მანქანაა

და მეორეც მოსულა

ნეტავ რა ხდება

ეს ანა სადღა დაიკარგა

ახალგაზრდა კაცი

რავიცი

დედა

ანას ვერ ვხედავ

(ხანმოკლე პაუზა)

ვერც ჩვენს სიძეს

(პაუზა)

მეორე მანქანაც მოვიდა ამწუთას

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

(დედა ფანჯარას სცილდება და შვილს უყურებს)

დედა

მოდის აქ

მოდის ცოტა ყავა დალიე

(ხანგრძლივი პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

აი მოდიან

(დედა ისევ მიდის ფანჯარასთან და იხედება)

დედა

რა სჭირთ ვერ გავიგე

ახალგაზრდა კაცი

ვის რა სჭირს

დედა

ამათ

ჩვენებს რა მოუვიდათ

(წყვეტს ლაპარაკს)

რა მოხდა ნეტავ

(ძალიან გრძელი პაუზა. და შემოდის/ოთახში ბრუნდება და უკან მოჰყვება სიძე)

და

(სულმოუთქმელად)

საშინელება მოხდა

საშინელება

(დედა და ახალგაზრდა კაცი მას შეხედავენ)

სიძე

(სუნთქვაშეკრული)

წუხელ

დედა

(აღღვებული)

მერე

(და თავს უქნევს)

და

წუხელ

სიძე

ჰო

(პაუზა)

ის

(პაუზა)

ჰო

მკვდარია ის

თქვენი მეზობელი

და

ისეთი საშინელება ხდება

სიძე

ჰო ის

(თავს აქნევს იმის ნიშნად რომ არ სჯერა)

ჰო ის

ოჰ

ჰო

არა

ეს

სწორედ ის

(ამოიოხრებს)

როგორც თქვეს

დანით არის მოკლული

და

ჰო ასეა

(ჩყვეტს ლაპარაკს)

სიძე

ჰო

მართალია

დანითო ასე თქვეს

მის პატარა გოგოს

უნახავს

უმცროსს

ჰოდა

(წყვეტს ლაპარაკს)

და

რა საშინელებაა

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

ეს ამბავი

მართლაც

(წყვეტს ლაპარაკს)

სიძე

მე

(საკმაოდ მოკლე პაუზა)

ჰო მე

(წყვეტს ლაპარაკს)

და

წარმოუდგენელია

ვერ ვიჯერებ

(ხანმოკლე პაუზა)

ექიმიც აქაა

პოლიციაც მოსულა

როგორც თქვეს

მისი ცოლი სახლში არ ყოფილა

მხოლოდ შვილები

პატარა გოგოები

და უმცროსს

(წყვეტს ლაპარაკს)

ეს ისეთი

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

არა ეს

ეს

(თითქოს სიტყვებს ვერ პოულობს)

ეს

სიძე

და თვითონ

ასეთი ახალგაზრდა

ორი პატარა გოგოს მამა

დედა

ეს

(ხანმოკლე პაუზა)

არ ვიცი

და

ნუთუ მართალია

ვერ ვიჯერებ

მე უბრალოდ

(წყვეტს ლაპარაკს. მიდის ფანჯარასთან და იხედება გარეთ)

დედა

ეს უბრალოდ

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

ჰო

და

არ მესმის

ეს როგორ უნდა მომხდარიყო

სიძე

გაუგონარი რამაა

და

ნუ იტყვი რა

(ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

(დას)

დარწმუნებული ხარ

რომ

და

ჰო სრულიად

(ხანმოკლე პაუზა)

თუმცა ვერ ვიჯერებ

დედაა

არა

ეს წარმოდგენელია

(წყვეტს ლაპარაკს)

და

წარმოდგენელი

დედა

შეუძლებელია სიმართლე იყოს

(პაუზა. ახალგაზრდა კაცი უყურებს დედას)

წარმოდგენელია

(პაუზა)

არ მჯერა

გაუგონარი ამბავია

(ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

სულაც არა

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

დიდი უბედურებაა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

არ მჯერა

რომ მკვდარია

ორი პატარა გოგო

ორი პატარა ბავშვი

პატარა გოგონები

ახალგაზრდა კაცი

ჰო

და

ჰო ეს დაუჯერებელია

წარმოუდგენელი საშინელებაა

(პაუზა)

დედა

და რას ამბობდი

(სიძეს)

ერთ-ერთ შვილს უპოვიაო

სიძე

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

უმცროსს

(ხანმოკლე პაუზა)

ცოლი შინ არ ყოფილა

თურმე ხან რა საქმე აქვს ხან რა

ის კი წევს ახლა მკვდარი თავის საწოლში

(ხანმოკლე პაუზა)

ჰო

და სისხლი

სისხლია ყველგან

(პაუზა)

დედა

ჰო

(ხანგრძლივი პაუზა)

და

(თითქოს უცბად მოუვიდა აზრად)

(სიძეს)

ჩვენ რა ვქნათ

მე ხომ

ჩვენ ხომ უნდა

ჰო

ანდა

სიძე

ჰო

და

ჰო

სიძე

რა შეგვიძლია

რავიცი

რა უნდა გავაკეთოთ

(ხანმოკლე პაუზა)

მაინც

(საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

ვერაფერს შევცვლით

და

ვერაფერს

(ხანმოკლე პაუზა)

თან უკვე ძალიან

დაგვაგვიანდა

უნდა წავიდეთ

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

არ უნდა წახვიდეთ

ახლა არა

და

არა

მაგრამ

ხომ უნდა წავსულიყავით

(წყვეტს ლაპარაკს)

სიმე

ჰო დედაჩემი

ხომ

და

(დედას)

ასე რომ უნდა

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

კარგი

(პაუზა)

არა ეს ყველაფერი

(წყვეტს ლაპარაკს. ხანმოკლე პაუზა)

და

ნეტავ

(წყვეტს ლაპარაკს. უყურებს სიძეს)

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

(დედას)

ნეტავ დარჩენა შემეძლოს

მაგრამ

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

მის შვილებს რა ეშველებათ

და

შენ ეგ თქვი

დედა

რა უნდა ქნან

სიძე

ქვემოთ არიან

იმ ქალთან

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

ჰო სიგნესთან

ალბათ

(ხანმოკლე პაუზა)

მისი ცოლი

ის

(ხანმოკლე პაუზა)

ის

ჰო ის კი

(წყვეტს ლაპარაკს)

და

ის არა

(ხანმოკლე პაუზა)

მაგრამ ჩვენ ხომ

დედა

ქვემოთ ჩავალ

სიგნესთან

იქნებ რამით დავეხმარო

(წყვეტს ლაპარაკს)

(ახალგაზრდა კაცს) შენ არ წამოხვალ

ახალგაზრდა კაცი

არა

დედა

მე უნდა წავიდე

(წყვეტს ლაპარაკს. ახალგაზრდა კაცი ცოტახანს გადი-გამოდის ოთახში, მერე დედას

შეხედავს. პაუზა)

სიძე

არ მესმის

და

არც მე

(პაუზა)

სიძე

ვეფქრობ

(წყვეტს ლაპარაკს. სიძე მიდის ფანჯარასთან, ჩერდება და გარეთ იყურება)

სასწრაფოს მანქანაც მოსულა

სახლთან დგას

და

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

სიძე

აი საკაცე გამოაქვთ

მიყავთ საწყალი

გადაფარებული აქვს

სწორად გაუკეთებიათ

ასე უნდა

დედა

ახლა მის გოგოებს

რა ეშველებათ

ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს

მე წავალ მივხედავ

(წყვეტს ლაპარაკს)

და

ჰო კარგი

დედა

მე

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

ჰო ვილაცამ უნდა იზრუნოს მათზე

და

ჰო

ახალგაზრდა კაცი

მარტო ხომ ვერ იქნებიან

(ხანმოკლე პაუზა)

ახლა მამა აღარ

(წყვეტს ლაპარაკს)

სიძე

საშინლად ბევრი სისხლი იყო დაღვრილი

ასე რომ

აღბათ

(ხანმოკლე პაუზა)

ვერც გადარჩებოდა

(წყვეტს ლაპარაკს, ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ჰო იყო

(პაუზა)

სიძე

უკვე მანქანაში დებენ

შეაცურეს საკაცე

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

დედა

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

ეს

(წყვეტს ლაპარაკს)

და

მე

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

ეს ყველაფერი

სიძე

სასწრაფო უკვე მიდის

(ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ეს ყველაფერი

(წყვეტს ლაპარაკს. ხანგრძლივი პაუზა)

და

არა ჩვენ ახლავე

(წყვეტს ლაპარაკს)

სიძე

(აგრძელებს)

უნდა წავიდეთ

წამოდი

(წყვეტს ლაპარაკს. ხანმოკლე პაუზა)

და

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

დედა

ეს ყველაფერი

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(პაუზა)

დედა

არა

არ ვიცი რა ვთქვა

არაფერი მესმის

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

არა

(და მიდის კარისკენ)

დედა

მაშ მიდიხართ

და

ჰო

უნდა წავიდეთ

(წყვეტს ლაპარაკს)

სიძე

სხვა რა გზაა

ახალგაზრდა კაცი

მაინც

(დასა და სიძეს)

მიდიხართ

და

ჰო უნდა წავიდეთ

(და უყურებს ახალგაზრდა კაცს, მერე სიძეს შეხედავს)

არ შეიძლება სულ ასე იდგე და ფანჯარაში იყურებოდე

ამის დრო არ გვაქვს
უნდა გავემგზავროთ

სიძე

ჰო

(პაუზა)

და

რადას უდგახარ

შენ გეუბნები ჰო

რატომ არ მპასუხობ როცა გელაპარაკები

(ხანმოკლე პაუზა)

წამოდი

წასვლის დროა

(პაუზა)

წამოდი

სიძე

(მიუბრუნდება სიძეს)

ბაღში რომ ბორცვია

ძალი მანდ არის დამარხული

(ახალგაზრდა კაცი თავს უქნევს. პაუზა)

ბაღში დამარხე ძალი

ახალგაზრდა კაცი

სადმე ხომ უნდა დამემარხა

(საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

სადმე

(ხანგრძლივი პაუზა)

და

ახლავე უნდა წავიდეთ

სიძე

ნამდვილად

და

მოდისხარ

სიძე

ჰო

და

დავრეკავთ რომ ჩავალთ

დედა

აუცილებლად დარეკეთ

(წყვეტს ლაპარაკს. ხანმოკლე პაუზა. და და სიძე გადიან, ახალგაზრდა კაციც მიდის და თავის ძელსკამზე წვება. პირდაპირ იყურება ჰაერში. ამასობაში დედა მიდის ფანჯარასთან, ჩერდება და გარეთ იხედება. საკმაოდ გრძელი პაუზა)

დედა

აი მიდის ის მანქანა

(ხანმოკლე პაუზა)

ეს ამბავი... არ ვიცი...

(წყვეტს ლაპარაკს. დედა იყურება ახალგაზრდა კაცისკენ)

(ხანგრძლივი პაუზა)

შუქი ქრება. ბნელდება.

IV

(იმავე დღის საღამო. ახალგაზრდა კაცი დგას და ფანჯრიდან იყურება. შემოდის დედა, დგება და მას უყურებს)

დედა

ნულარ დგახარ აქ აღარ არის საჭირო

მისია შესრულებული გაქვს იმდენ ხანს იდექი უკვე

ასე მგონია საუკუნე გავიდა რაც ამ პოზაში გხედავ

ან ძელსკამზე წამოწექი

ან

რავიცი

არაფერს აკეთებ დგახარ და იყურები ფანჯრიდან

(ხანმოკლე პაუზა)

ჰო მართლა

ისინი აქაც აპირებენ მოსვლას

სახლიდან სახლში დადიან

უცნაურია რომ ჩვენთან არ მოსულან

ჯერ სხვებთან მიდიან

ასეთი ამბავია

(ხანმოკლე პაუზა)

და თან

(წყვეტს ლაპარაკს, ხანმოკლე პაუზა)

არ ვიცი

სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი

(ხანმოკლე პაუზა)

რატომ არაფერს ამბობ

(პაუზა)

რამდენიმე საათია ხმა არ ამოგიღია

(პაუზა)

რამე უნდა თქვა

(პაუზა)

შენ ხომ ყოველთვის კეთილი და ზრდილობიანი იყავი

არასდროს გიწვალებია არც ცხოველი და არც ადამიანი

მე მაინც მითხარი რამე

სულ ასე ჩუმად ხომ არ იქნები

(პაუზა)

ასე არ გამოვა

ასეთი არ ხარ

(ხანგრძლივი პაუზა)

ისინი ალბათ მალე მოვლენ

აქაც მალე მოვლენ

(პაუზა)

დამელაპარაკე

მითხარი რამე

(პაუზა)

ყოველთვის კარგი ბიჭი იყავი

ენტუზიაზმით არასდროს გამოირჩეოდი

მაგრამ კეთილი იყავი

ჰო ყოველთვის იყავი კეთილი და კაცთმოყვარე

ჭიანჭველსაც კი არ ადგამდი ფეხს

(პაუზა)

ნუთუ არ შეგიძლია რამე მითხრა

დამელაპარაკე

ხმა ამოიღე

გეხვეწები

(ახალგაზრდა კაცი შეხედავს დედას და კბილებს აღრჭიალებს)

მანდ მაინც ნუ დგახარ და ნუ იღრინები

რატომ იქცევი ასე

თქვი რამე

ახალგაზრდა კაცი

რა გინდა რომ გითხრა

გინდა გითხრა რომ მე მოვკალი

დედა

უბრალოდ ხმა ამოიღე

თქვი რომ შენ არ მოგიკლავს

ახალგაზრდა კაცი

არა

დედა

მაშ შენ არ მოგიკლავს

ახალგაზრდა კაცი

მეც ეგ გითხარი

(კაუზა)

დედა

იცი რა

ჰო

უნდა გითხრა

შენ ამას ვერ ჩაიდენდი

მხოლოდ ეს მითხარი

მომიყევი რა მოხდა

სიმართლე მითხარი

მითხარი რომ ეს შენ არ ჩაგიდენია

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

ნამდვილად შენ მოკალი

ახალგაზრდა კაცი

ჰო

(ხანმოკლე პაუზა)

მე მოვკალი

ხომ გითხარი

(წყვეტს ლაპარაკს)

დედა

მოკალი რადგან ძალი მოგიკლა

ახალგაზრდა კაცი

ჰო ასეა

დედა

ესე იგი შენ მოკალი

ახალგაზრდა კაცი

მოვკალი რადგან ძალი მომიკლა

(პაუზა. ახალგაზრდა კაცი მიდის, ძელსკამზე წვება და უმისამართოდ იყურება.

ხანგრძლივი სიჩუმე)

დედა

შენ მოკალი

და

(პაუზა)

და რა

მერე

(პაუზა)

და არ გიფიქრია

რასაკვირველია

(წყვეტს ლაპარაკს. პაუზა)

როცა მოვლენ

რა უნდა ქნა

მალე გამოჩნდებიან

სახლიდან სახლში გადადიან თურმე

შენ კი

(პაუზა)

შენ არ

(პაუზა)

შენ

(პაუზა)

შენ

ჰო

მაშინ

რამე მაინც მითხარი

დედაშენი ვარ

რამე თქვი

დამელაპარაკე

*(დედა მიდის ახალგაზრდა კაცთან, მხარზე ჰკიდებს ხელს და მსუბუქად
შეაჯანჯღარებს)*

შემიძლია

(წყვეტს ლაპარაკს, ხანმოკლე პაუზა)

რამე მითხარი

ჩვენ ხომ ერთ სახლში ვცხოვრობთ

მხოლოდ შენ და მე

ამდენი წელია

ერთმანეთს ყოველთვის მხარს ვუჭერდით

როგორც შეგვეძლო

თუნდაც ამის გამო

უნდა მითხრა რამე

მრავალი წელი ასე ვიყავით

ასე რომ

ნუ წევხარ აქ

თუ წაგიყვანენ

რამეს გამოგიგზავნი

იქნებ გიტარაც გიშოვო

ახალი გიტარა

ახალი და კარგი გიტარა

რამე მითხარი

დამელაპარაკე

არ შეგიძლია

რამე უნდა თქვა

არ შეიძლება ასე იწვე

ხმა უნდა ამოიღო

(პაუზა. კარზე აკაკუნებენ)

უნდა გავალო

ალბათ მოვიდნენ შენს წასაყვანად

(ახალგაზრდა კაცი ძელსკამზე წამოჯდება)

ახალგაზრდა კაცი

უნდა გაალო

(პაუზა. ისევ აკაკუნებენ)

აღარ გაალებ

დედა

როგორ არა

(პაუზა. ისევ აკაკუნებენ)

ახალგაზრდა კაცი

მაშინ მე გავალებ

*(ახალგაზრდა კაცი დგება და გადის, დედა კი ფანჯარასთან მიდის და იხედება.
პაუზა. ახალგაზრდა კაცი ბრუნდება, უკან მეგობარი მოჰყვება)*

მეგობარი

(დედას)

როგორც შევთანხმდით

დღეს საღამოს ფიორდზე მივდივართ

ამინდიც მშვენიერია

და

როგორც დაგპირდით

შემოვიარე

თუმცა ახლა

(წყვეტს ლაპარაკს. საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

დედა

ჰო საშინელებაა

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა

მეგობარი

ჰო

დედა

ეს ხომ არ

*(წყვეტს ლაპარაკს, ხანმოკლე პაუზა. დედა გადის, ხოლო ახალგაზრდა კაცი
ფანჯარასთან მიდის)*

მეგობარი

ჰო ვიფიქრე

(პაუზა)

და გადავწყვიტე რომ

რადგან დაგპირდით

უნდა მოვსულიყავი

(პაუზა)

თუმცა არა მგონია შესაფერისი დრო იყოს

(საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

ფიორდზე სასეირნოდ

(ხანმოკლე პაუზა)

შენ

(საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

რას იტყვი

(პაუზა)

დაგპირდი რომ მოვიდოდი

ჰოდა ვიფიქრე

(წყვეტს ლაპარაკს. საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

სხვა დროს ვცადოთ

ოდესმე

მეგობარი

ჰო სხვა დროს იყოს

ახალგაზრდა კაცი

კარგი

(პაუზა)

მეგობარი

ჰო

(პაუზა)

იმის თქმა მინდოდა რომ

(ხანმოკლე პაუზა)

რადგან დაგპირდი

მოვედი კიდევ

ახალგაზრდა კაცი

სხვა დროს აუცილებლად უნდა წავიდეთ მაგ მარშრუტზე

მეგობარი

ჰო უბრალოდ მოვედი

რადგან ასე მოვილაპარაკეთ

(წყვეტს ლაპარაკს. პაუზა. მეგობარი მიდის ფანჯარასთან და იხედება)

ეს რა ბორცვია ქვემოთ

ახალგაზრდა კაცი

ძალი მაჩხია

მეგობარი

ძალი მოგიკვდა

ახალგაზრდა კაცი

ჰო

მეგობარი

ძალიან ვწუხვარ

(პაუზა)

აი თურმე რატომ არ მოვიდა იმ დღეს სახლში

(პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

მკვდარი ყოფილა

მეგობარი

მართლა ძალიან ვწუხვარ

(პაუზა)

საწყალი

თოფით რატომ უნდა მომკვდარიყო

ახალგაზრდა კაცი

ვინ თქვა რომ ესროლეს

მეგობარი

არ ვიცი

ალბათ დედაჩემმა

კი კი ის ამბობდა

მან მითხრა

რომ თქვენმა ახალმა მეზობელმა

ესროლა შენს ძაღლს

ახალგაზრდა კაცი

(ივინის)

ერთ-ერთი უკანასკნელი რამ

რაც სიკვდილამდე გააკეთა

მეგობარი

ჰო

(პაუზა)

არა თუ შენ

(წყვეტს ლაპარაკს, საკმაოდ ხანმოკლე პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

ერთხელ როცა იქნება

აუცილებლად უნდა წავიდეთ ფიორდზე და ვითევზაოთ

მეგობარი

ჰო

(პაუზა)

ისინი თურმე სახლიდან სახლში დადიან

და ათასნაირ კითხვას უსვამენ ხალხს

დღეს დილით ჩვენთანაც იყვნენ

(პაუზა)

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

მეგობარი

შემდეგ ჯერზე რომ ჩამოვალ

ალბათ

მაშინ შევძლებ

შემოგივლი

და წავიდეთ

ახალგაზრდა კაცი

ჰო ასეც უნდა ქნა

(პაუზა. შემოდის დედა)

დედა

(მეგობარს)

წესით რამეს უნდა გთავაზობდე

მაგრამ

მეგობარი

არა

უკვე მივდივარ

(ახალგაზრდა კაცს)

მაშ

კარგი

მე წავედი

(ხანმოკლე პაუზა)

შემდეგ ჯერზე უნდა ვიხელთოთ დრო

როცა ჩამოვალ

დედა

მადლობა რომ შემოგვიარე

კიდევ უნდა გვინახულო

იცოდე

შემდეგში როცა ჩამოხვალ

მეგობარი

დიახ

ასეც ვიზამ

ახალგაზრდა კაცი

შეხვედრამდე

(მეგობარი მიდის. ხანგრძლივი პაუზა)

დედა

დროა ჩვენ უნდა

(წყვეტს ლაპარაკს)

ახალგაზრდა კაცი

ჰო

დედა

კიდევ რამის წაღება ხომ არ გინდა

(ახალგაზრდა კაცი თავს იქნევს უარის ნიშნად)

ლანჩი ჩავდე

ყავაც მოგიმზადე და გატან

ჰო

და ისიც ავიღე

ჰო

(დედა სწრაფად გადის და ბრუნდება ჩანთით)

ცოტა თბილი ტანსაცმელი ჩაგილაგე

ის წიგნიც რომელსაც კითხულობდი

და გიტარაც

ახალგაზრდა კაცი

(აწყვეტინებს დედას)

გიტარა აღარ მაქვს

(პაუზა)

დედა

თუ გინდა

გიყიდი ახალ გიტარას

ახალგაზრდა კაცი

არა

(პაუზა)

დედა

კიდევ რამე ხომ არ დაგჭირდება

ახალგაზრდა კაცი

ძაღლის საყელური

დედა

საყელური გინდა თან წაიღო

(ახალგაზრდა კაცი თავს უწნევს. პაუზა. აკაკუნებენ)

ჩქარა

წასვლის დროა

ახალგაზრდა კაცი

გასაგებია

დედა

(შეკითხვის ტონით)

საყელური შემოსასვლელში კიდია

ახალგაზრდა კაცი

კარგი

(ახალგაზრდა კაცი მიდის და დედაც თან მიჰყვება)

მუქი ქრება. ბნელდება.